როცა გაიგონებთ მოწოდებას (აზანს), თქვენც გაიმეორეთ ის, რასაც მუეზინი ამბობს

აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა გაიგონებთ მოწოდებას (აზანს), თქვენც გაიმეორეთ ის, რასაც მუეზინი ამბობს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებს მუეზინისთვის პასუხის გაცემისკენ, როცა მისი ხმა ისმის. ეს ნიშნავს, რომ უნდა გავიმეოროთ ის, რასაც ის ამბობს სიტყვასიტყვით. როცა ის "ალლაჰუ აქბარ"-ს წარმოთქვამს - ჩვენც "ალლაჰუ აქბარ" უნდა წარმოვთქვათ, როდესაც ის შაჰადეთს წარმოთქვამს ჩვენც შაჰადეთი უნდა წარმოვთქვათ. გამონაკლისია სიტყვები: " ჰაია 'ალაა სალააჰ/იჩქარეთ ლოცვისკენ" და "ჰაია 'ალაალ ფალააჰ/იჩქარეთ წარმატებისკენნ", ამის შემდეგ უნდა წარმოითქვას: "ლაა ჰავლა ვა ლაა ყუვვათა ილლაა ბილლააჰ/არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება, გარდა ალლაჰისა".

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3013

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee